კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის ,,კურიერის“ გადამღები ჯგუფისთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტს ეხმაურება

ამა წლის 10 ოქტომბერს ,,კურიერის გადამღებ ჯგუფს ინფორმაციის გავრცელებაში ხელი შეუშალეს.

როგორც მედიაში გასული ~~სიუჟეტიდან~~ ირკვევა, მედიის წარმომადგენლები რეპორტაჟს რკინიგზის ახალი მაგისტრალის მშენებლობის დროს გამოვლენილ დარღვევებზე ამზადებდნენ. ვიდეომასალის გადაღების დროს კი, ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს საქართველოს ოფისის წარმომადგენლებმა Ď□□□□□□□□ ჟურნალისტს კამერა წაართვეს და მოპოვებული ვიდეომასალის წაშლა სცადეს, რამდენიმე საათის განმავლობაში ტელევიზიის კუთვნილი ტექნიკა კომპანიის წარმომადგენლებს ჰქონდათ ჩაკეტილი.

მიგვაჩნია, რომ ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებულ ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას - **იძულებას, ჟურნალისტმა თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან.** ამავდროულად, შესაძლოა გამოიკვეთოს სხვა დანაშაულის ნიშნებიც.

მოვუწოდებთ შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს, კანონით გათვალისწინებული, დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინონ აღნიშნულ ფაქტზე, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ჟურნალისტებისათვის საქმიანობაში ხელის შეშლის შემთხვევები.